საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

დავით აღმაშენებლის გამზირი **N80**
0102 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

01 ნოე 2024 წ.

KA000074307847624

№ **2024/5986**

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ რატი ბრეგაძეს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მსჯავრდებულ [redacted] N1 პენიტენციური დაწესებულებიდან, მის ან მისი ახლო ნათესავების საცხოვრებელ ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე, N10 პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო რატი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა სპეციალური პენიტენციური სამსახურის N1 დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის, [redacted] საქმე.[1] შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ [redacted] მის ან მისი ახლო ნათესავების საცხოვრებელი ადგილიდან შორს მდებარე, N1 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებით, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს მსჯავრდებულის პირადი ცხოვრების უფლების დარღვევას.

ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელთან შეხვედრისას მსჯავრდებულმა [redacted] განმარტა, რომ N1 პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანამდე, სასჯელს იხდიდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის N2 დაწესებულებაში, რომელიც, ასევე, დასავლეთ საქართველოში მდებარეობს. N2 დაწესებულებაში გადაყვანამდე კი, განთავსებული იყო N8 პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც მისი პირადი ცხოვრების უფლება არ იზღუდებოდა.

მსჯავრდებული განმარტავს, რომ ახლო ნათესავებისგან შორს მდებარე, N1 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსების გამო, ვერ სარგებლობს ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნისა და ამანათის მიღების უფლებით. ამ უფლებებით ვერ სარგებლობდა, ასევე, N2 დაწესებულებაში სასჯელის მოხდის პერიოდში. სწორედ ამიტომ, მსჯავრდებული [redacted] მოითხოვს აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე, რისკის შესაბამის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანას.[2]

სახალხო დამცველის აპარატმა, საქმის შესწავლის პროცესში N1, N2 და N8 პენიტენციური დაწესებულებებიდან შესაბამისი ინფორმაცია გამოითხოვა.[3]

N1 პენიტენციური დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, [redacted] პირადი საქმის მიხედვით, მისი ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილია [redacted] მსჯავრდებულის საშიშროების რისკის შეფასების გუნდის მიერ განსაზღვრული აქვს საშიშროების მომეტებული რისკი. N1 პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანილია 2024 წლის 16 მაისს, სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2024 წლის 16 მაისის N20/174525 ბრძანების საფუძველზე. მსჯავრდებულ [redacted] N1 პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელის მოხდის

პერიოდში, ხანგრძლივი ან ხანმოკლე პაემნის უფლებით არ უსარგებლია, ხოლო ამანათის მიღების უფლებით ისარგებლა ერთჯერ.[4]

N2 პენიტენციური დაწესებულების საპასუხო წერილის შესაბამისად, მსჯავრდებული [redacted] N2 დაწესებულებაში განთავსებული იყო 2022 წლის 23 ივლისიდან 2024 წლის 17 მაისამდე პერიოდში. N2 დაწესებულებაში სასჯელის მოხდის პერიოდში, მსჯავრდებულს ხანმოკლე ან ხანგრძლივი პაემნის უფლებით არ უსარგებლია. ამანათის მიღების უფლებით ისარგებლა ერთჯერ.[5]

N8 პენიტენციური დაწესებულების პასუხის თანახმად, მსჯავრდებული [redacted] N8 დაწესებულებაში განთავსებული იყო 2017 წლის 10 თებერვლიდან 2017 წლის 8 ივლისამდე და 2018 წლის 22 მარტიდან 2022 წლის 15 იანვრამდე პერიოდებში. N8 დაწესებულებაში სასჯელის მოხდის პერიოდში, მსჯავრდებულმა [redacted] 16-ჯერ ისარგებლა ხანმოკლე პაემნის უფლებით, 4-ჯერ - ხანგრძლივი პაემნის უფლებით, ხოლო 45-ჯერ - ამანათის მიღების უფლებით.[6]

სახალხო დამცველის აპარატმა, მსჯავრდებულ [redacted] N10 დაწესებულებაში გადაყვანასთან დაკავშირებით, ინფორმაცია გამოითხოვა, ასევე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტიდან,[7] რომლის წერილობითი პასუხის თანახმად, მსჯავრდებულ [redacted] N1 პენიტენციური დაწესებულებიდან N10 პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანა, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე არ იგეგმება.[8]

სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა, ასევე, N10 და N8 პენიტენციურ დაწესებულებებს და გამოითხოვა ინფორმაცია, თუ რამდენი პატიმრის მიღებას შეძლებს დაწესებულება, ადამიანური რესურსის გათვალისწინებით.[9]

N8 პენიტენციური დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, 2024 წლის 10 ოქტომბრის მდგომარეობით, N8 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულია [redacted] ბრალდებული და [redacted] მსჯავრდებული, რაც N8 პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმართა განთავსების დადგენილ ლიმიტს[10] აღემატება.[11]

N10 პენიტენციური დაწესებულების პასუხის თანახმად, N10 დაწესებულებაში, 2024 წლის 11 ოქტომბრის მდგომარეობით, განთავსებულია [redacted] პატიმარი. დაწესებულებას აქვს [redacted] პატიმრის მიღების შესაძლებლობა.[12]

სამართლებრივი დასაბუთება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პატიმრის შესაძლებლობას, მჭიდრო კონტაქტი ჰქონდეს ოჯახის წევრებთან, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროდ განიხილავს.

სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია არ ადგენს პატიმრის უფლებას, თვითონ აირჩიოს პენიტენციური დაწესებულება, **თუ პატიმარი მოთავსებული იქნება სახლიდან ისე შორს, რომ ოჯახის წევრების მხრიდან ვიზიტების განხორციელება მნიშვნელოვნად დაბრკოლდება, ან შეუძლებელი გახდება, ეს შესაძლოა გახდეს ოჯახური ცხოვრების უფლების დარღვევის საფუძველი.[13]** ამასთან, სასამართლოს შეფასებით, მსჯავრდებულის სოციალური კავშირების დაკარგვა (პაემანი, სატელეფონო ზარი, მიმოწერა), სხვა ფაქტორებთან ერთად, იწვევს გათავისუფლების შემდგომ დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკს.[14]

მართალია, კონვენციის მე-8 მუხლი არ მიეკუთვნება აბსოლუტური ხასიათის უფლებათა ჩამონათვალს და მასში ჩარევა შესაძლებელია ტრადიციული ტესტის[15] დაკმაყოფილების შემთხვევაში, თუმცა ევროპული სასამართლო დარღვევის არსებობას ადგენს იმ კითხვაზე პასუხის გაცემით, მიღწეული იქნა თუ არა სამართლიანი ბალანსი ლეგიტიმურ მიზანსა და ინდივიდის უფლების შეზღუდვას შორის. მოცემულ შემთხვევაში კი, ორ წელზე მეტი ხნით ოჯახის და ახლო ნათესავების საცხოვრებელი ადგილიდან ტერიტორიულად შორს მდებარე დაწესებულებაში განთავსება, რაც, ფაქტობრივად, იწვევს ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის უფლების შეზღუდვას, არ შეიძლება ჩაითვალოს სამართლიან ბალანსად და კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ ევროპულმა სასამართლომ, ინდივიდუალური გარემოებების შეფასების შედეგად, არაერთ საქმეში დაადგინა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, როდესაც მსჯავრდებული განთავსებული იყო საცხოვრებელი ადგილიდან ტერიტორიულად შორს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში და ამ მიზეზით, სრულყოფილად ვერ იყენებდა ოჯახის წევრებთან პაემანის უფლებას.[16] სასამართლოს შეფასებით, **ოჯახური ცხოვრება პატიმრის უფლებების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და შესაბამისმა ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ ოჯახის წევრებთან სიახლოვის შენარჩუნებაში**.[17]

ევროპული ციხის წესების შესაბამისად, პატიმრების განთავსება უნდა მოხდეს შეძლებისდაგვარად ახლოს მათ სახლებთან ან სოციალური რეაბილიტაციის ადგილებთან.[18] ამასთან, ოჯახთან კომუნიკაცია უმეტეს შემთხვევაში გადამწყვეტი ფაქტორია მსჯავრდებულის რესოციალიზაციისთვის. რესოციალიზაცია კი, თავის მხრივ, სასჯელის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს.[19]

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ“ ცალსახად განსაზღვრავს, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პატიმარსა და მის ოჯახს შორის კავშირების შენარჩუნებას და განმტკიცებას, რაც ემსახურება ორივე მხარის ინტერესებს.[20] ამავე დოკუმენტის თანახმად, პატიმრები მოთავსებული უნდა იყვნენ, თუ ეს შესაძლებელია, მათ სახლსა თუ სოციალური რეაბილიტაციის ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში.[21]

წინამდებარე საქმის ანალიზი

სახალხო დამცველის აპარატი სრულად იზიარებს პენიტენციურ დაწესებულებებში უსაფრთხოების დაცვისა და გადატვირთულობის თავიდან არიდების მნიშვნელობას, თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია, პაემნებისა და ამანათის უფლებებით დაუბრკოლებლად სარგებლობით, მსჯავრდებულის აქტიური კომუნიკაცია გარე სამყაროსთან და ამ საკითხებს შორის გონივრული ბალანსის დაცვა.

მსჯავრდებულ [redacted] ოჯახის წევრებთან ან ახლო ნათესავებთან პაემნის უფლებით არ უსარგებლია, დაახლოებით, 2 წლისა და 3 თვის განმავლობაში, რაც საკმარისი დროა იმისთვის, რომ პენიტენციურმა სამსახურმა გადახედოს თავის იმ გადაწყვეტილებას, რომლითაც პატიმრის პირადი ცხოვრების უფლება, ფაქტობრივად, იზღუდება.

აღსანიშნავია, რომ ის მსჯავრდებულები, რომლებსაც მსჯავრდებულის რისკის შეფასების მულტიდისციპლინური გუნდის მიერ განსაზღვრული აქვს საშიშროების მომეტებული რისკი და სასჯელს იხდიან დახურული ტიპის დაწესებულებაში, შესაძლებელია, ასევე, განთავსდნენ აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე N8[22] და N10[23] პენიტენციურ დაწესებულებებში.

სახალხო დამცველის აპარატი ითვალისწინებს N8 პენიტენციურ დაწესებულებაში არსებულ გადატვირთულობის პრობლემას და იზიარებს, ამ ეტაპზე, მსჯავრდებულის N8 დაწესებულებაში განთავსებაზე უარის თქმის საფუძველს. თუმცა, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მსჯავრდებულ [redacted] N10 პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანის საკითხის განხილვა, ვინაიდან, როგორც თავად N10 პენიტენციურმა დაწესებულებამ წარმოადგინა ინფორმაცია, დაწესებულებას აქვს, დაახლოებით, [redacted] პატიმრის მიღების შესაძლებლობა.

„საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N106 ბრძანების პირველი მუხლის „ზ[1]“ ქვეპუნქტის თანახმად, N10 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტია 700 ბრალდებული/მსჯავრდებული. N10 პენიტენციურ დაწესებულებაში კი, დღეის მდგომარეობით, განთავსებულია [redacted] პატიმარი.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ N10 პენიტენციური დაწესებულების ლიმიტი მნიშვნელოვნად აღემატება ამავე დაწესებულებაში მყოფ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა იმ საერთო რაოდენობას,[24] რაც სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა სპეციალური პენიტენციური სამსახურის N10 დაწესებულების მიერ, მსჯავრდებულ [redacted] N10 დაწესებულებაში გადაყვანა არ შექმნის გადატვირთულობის პრობლემას.

რაც შეეხება სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის მიერ დასახელებულ უსაფრთხოების მიზანს, აღსანიშნავია, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის N10 დაწესებულება, ისევე როგორც N1 დაწესებულება, „არის განსაკუთრებულად დაცული, როგორც შეიარაღებული დაცვით უზრუნველყოფილი, ისე სასიგნალიზაციო სისტემით აღჭურვილი, სპეციალური დამცავი ზღუდეებით გარშემორტყმული პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, რომელშიც უზრუნველყოფილია ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მუდმივი მეთვალყურეობა.“[25] შესაბამისად, N1 და N10 დაწესებულებებში მოქმედებს მსგავსი სარეჟიმო პირობები, რომლის ფარგლებშიც, შესაძლებელი იქნება მსჯავრდებულ [redacted] უსაფრთხოების დაცვა.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ რეკომენდაციით, მსჯავრდებულის ოჯახის წევრების ან ახლოს ნათესავების საცხოვრებელ ადგილთან ახლოს სასჯელის მოხდის პრინციპის დაცვით, მსჯავრდებული [redacted] სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით, გადაიყვანოთ N10 პენიტენციურ დაწესებულებაში.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული რეკომენდაციის განხილვის შედეგები, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში, აცნობოთ სახალხო დამცველს.

პატივისცემით,

---

[1] მსჯავრდებულ [redacted] N5339/2024 განცხადება.
[2] მსჯავრდებულ [redacted] 2024 წლის 12 სექტემბრის შეხვედრის ოქმი.
[3] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 19 სექტემბრის N2024/4623, N2024/4625, N2024/4626 წერილები.
[4] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N1 დაწესებულების 2024 წლის 25 სექტემბრის N280463/01 წერილი.
[5] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N2 დაწესებულების 2024 წლის 24 სექტემბრის N279845/01 წერილი.
[6] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 დაწესებულების 2024 წლის 25 სექტემბრის N281091/24 წერილი.
[7] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 19 სექტემბრის N2024/4629 წერილი.
[8] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის 2024 წლის 27 სექტემბრის N284106/01 წერილი.
[9] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 9 ოქტომბრის N2024/5302 და N2024/5303 წერილები.
[10] „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N106 ბრძანება, მუხლი, 1, ქვეპუნქტი „3“

[11] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 დაწესებულების 2024 წლის 11 ოქტომბრის N304944/01 წერილი.
[12] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N10 დაწესებულების 2024 წლის 11 ოქტომბრის N305042/25 წერილი.
[13]იხ. ვინტმანი უკრაინის წინააღმდეგ, N28403/05, პარ. 78.
[14] იხ. დანილევიჩი რუსეთის წინააღმდეგ, N31469/08, 28.02.2022, პარ. 62.
[15] გათვალისწინებული იყოს კანონით, ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს, აუცილებელი იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში.
[16] იხ. ხოდორკოვსკი და ლებედევი რუსეთის წინააღმდეგ, 11082/06, 13772/05, 25.07.2013. ასევე, დანილევიჩი რუსეთის წინააღმდეგ, N31469/08, 28.02.2022.
[17] იხ. მესინა იტალიის წინააღმდეგ, პარ. N61, 25498/94, 28.12.2000.
[18] ევროპული ციხის წესები - პუნქტ. 17.1.
[19]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილი.
[20]გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები), წესი N106.
[21]იქვე, წესი 59.
[22] „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №8 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N117 ბრძანება, მუხლი 2, პუნქტი 2.
[23]„ №10 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 13 მაისის N537 ბრძანება, მუხლი 2, პუნქტი 2.
[24]2024 წლის 11 ოქტომბრის მდგომარეობით.
[25] „ №10 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 13 მაისის N537 ბრძანება, მუხლი 2, პუნქტი 1.

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი